ხელშეკრულება N 09/68

აუდიტორული მომსახურების შესახებ

ქ.თბილისი 12.03.2014

ერთის მხრივ, სსიპ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის № 199 საჯარო სკოლა (ს.ნ. 204877375) (ბ/ნ 621001004376) შემდგომში დამკვეთი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ივანე კვიტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "Geword" (ს.ნ. 406026447) შემდგომში "შემსრულებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორი გივი ასაშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "შემსრულებლის" მიერ "დამკვეთისათვის" აუდიტორული მომსახურების გაწევა, რაც გულისხმობს 2013 წლის შესაბამისი პერიოდების საგადასახადო ანგარიშგების სისწორის აუდიტორულ შემოწმებას და აუდიტორული დასკვნის მომზადებას.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 "შემსრულებელი" უფლებამოსილია:

1) მოსთხოვოს "დამკვეთს" საქმის სრულყოფილი წარმოებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ჯეროვანი შესრულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა;

2) მიიღოს "დამკვეთისაგან" ამომწურავი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მომსახურების გაწევისათვის;

3) მოსთხოვოს "დამკვეთს" გაწეული მომსახურების საფასურის სრული და დროული ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად;

2.2 "შემსრულებელი" ვალდებულია

1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გასაწევად გამოყოს "შემსრულებლის" მიერ დაქირავებული პირი-თანამშრომელი რომლის საშუალებითაც უშუალოდ გაუწევს "დამკვეთს" ზემოთ აღნიშნულ მომსახურებას;

2) გაუწიოს "დამკვეთს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და კვალიფიციურად;

3) "დამკვეთის" მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას სრულყოფილი ინფორმაცია გაწეული მომსახურების შესახებ;

4) მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით განუხრელად დაიცვას ,,დამკვეთის" ინტერესები;

5) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დაასრულოს 2014 წლის 15 აპრილამდე;

6) ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 30 აპრილამდე;

2.3 "დამკვეთი" უფლებამოსილია

1) მიიღოს "შემსრულებლის" მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2) მოსთხოვოს "შემსრულებელს" გაწეული მომსახურების შესახებ ინფორმაციისა და ანგარიშის მიწოდება;

3) მოსთხოვოს "შემსრუელბელს" ხელშეკრულების პირობათა სრულად დაცვა.

2.4 "დამკვეთი" ვალდებულია

1) დროულად მიაწოდოს "შემსრულებელს" ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად;

2) დროულად და სრული მოცულობით აუნაზღაუროს "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

მუხლი 3. მომსახურების საფასური. ანგარიშსწორების ვადა და წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 2200 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 "დამკვეთი" "შემსრულებელს" მომსახურების საფასურს გადაუხდის მომსახურების დაწყებისას 1100 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით და დასრულებისას 1100 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.4 მომსახურების საფასურის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით შემდეგ საბანკო ანგარიშზე: GE52TB7728136080100001 (თიბისი ბანკი კოდი: TBCBGE22)

მუხლი 4. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება წყდება ვადის გასვლით, ან მხარეთა შეთანხმებით.

4.2 "შემსრულებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ "დამკვეთი" არ იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურს სრულად ან/და დროულად, ან ქმნის ისეთ გარემოებებს, რომელიც ხელს უშლის "შემსრულებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაში.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და ჯეროვნად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი.

5.2 "შემსრულებელი" ამუშავებს და შესაბამისად პასუხს აგებს მხოლოდ იმ დოკუმენტაციაზე, რომელსაც წარმოუდგენს "დამკვეთი".

5.3. "შემსრულებელი" თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია საკანონმდებლო ხარვეზებიდან, ორაზროვანი ჩანაწერებიდან.

5.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

5.5 წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა ცნობები ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი თანხმობის გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6 "შემსრულებელი" პასუხს არ აგებს არასარწმუნო ან/და არასრული მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებზე.

5.8 მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. განსაკუთრებული პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია წერილობითი ფორმით.

6.2 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება ძალაში შედის მხარეთა შეთანხმებით, თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

6.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 3.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე.

6.5 ხელშეკრულება გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსრულებელი"	"დამკვეთი"
შპს "Geword"	სსიპ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის
	№ 199 საჯარო სკოლა
ს.ნ 406026447	ს.ნ. 204877375
ბანკი: „თი ბი სი ბანკი"	ბანკი: „საქართველოს ბანკი"
ანგ. GE52TB7728136080100001	ანგ. GE93BG0000000264170100
ბანკის კოდი TBCBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22.
დირექტორი: გივი ასაშვილი	დირექტორი: ივანე კვიტაშვილი